



შოთა რუსთაველის საერთაშორისო
აქოვანალი სამეცნიერო ფონდი
SHOTA RUSTAVELI NATIONAL
SCIENCE FOUNDATION OF GEORGIA

2017



სარისხი • განვითარება • ინოვაცია • ინტერნაციონალიზაცია

პროგრამები და
კონკურსები

მეცნიერების
ინტერნაციონალიზაცია
და საერთაშორისო
ურთიერთობები

ფონდის აქტივობები

საინფორმაციო ბიულეტენი

III კვარტალი

რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საერთაშორისო საკოორდინაციო საბჭოს რიგით V სხდომა გაიმართა



ფონდის თანამშრომლებმა საბჭოს წარუდგინეს: ფონდის განახლებული სტრატეგია, 2018 წლის პროგრამის განახლებული პორტფოლიო, ბიუჯეტის პროექტი და საერთაშორისო თანამშრომლობის პერსპექტივები.

ფონდის წარმომადგენლების შეხვედრა საფრანგეთის ეროვნულ კვლევით ცენტრთან (Irstea)



ორმხრივი თანამშრომლობის მიზნით მხარეებმა ისაუბრეს ფონდისა და საფრანგეთის ეროვნული კვლევითი ცენტრის საქმიანობასა და მიზნებზე. კვლევით ცენტრს (Irstea) წარმოადგენდნენ: რაულ მილე (საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი), პირიკ ჟივონი (გენერალური დირექტორი), ტერი ბურტე (სამეცნიერო და საუნივერსიტეტო თანამშრომლობის ატაშე და, ამავდროულად, საქართველოში საფრანგეთის საელჩოს წარმომადგენელი).

თურქეთის სამეცნიერო და ტექნოლოგიური კვლევის საბჭოს (TUBITAK) პრეზიდენტის ვიზიტი ფონდში



შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ორგანიზებით ჩატარდა სამუშაო შეხვედრა TUBITAK-ისა და საქართველოს სამეცნიერო ინსტიტუციების წარმომადგენლებს შორის. TUBITAK-ის პრეზიდენტი პროფ. არიფ ერგინი გაეცნო შეხვედრაზე წარმოდგენილი ინსტიტუციების თურქეთთან სამეცნიერო თანამშრომლობის მიმართულებებსა და პრიორიტეტებს, მათთან ერთად განიხილა შესაძლო სამომავლო კოლაბორაციის საკითხები. TUBITAK-მა საქართველოს შესთავაზა ტექნიკური დახმარება H2O2O ში მონაწილეობის გაძლიერებისთვის.

სამუშაო შეხვედრა გაიმართა საქართველოს ინსტიტუციებისგან შემდგარ კონსორციუმის წარმომადგენლებთან




შეხვედრაზე მონაწილეებმა განიხილეს Clarivate Analytics-თან(ყოფილი Thomson Reuters) თანამშრომლობის პირობები და შესაბამის ბაზებთან და ანალიტიკურ მომსახურებასთან საქართველოს უნივერსიტეტების კონსორციუმის წვდომის საკითხი.

მეცნიერების შეხვედრა საერთაშორისო ექსპერტთან, კრისტოფ კრატკისთან




განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მოწვევით ფონდს ესტუმრა მეცნიერების დარგის საერთაშორისო ექსპერტი, აგსტრისის სამეცნიერო ფონდის ყოფილ პრეზიდენტი პროფესორი კრისტოფ კრატკი. შეხვედრაზე განხილულ საკითხებს შორის იყო შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საქმიანობა, საერთაშორისო თანამშრომლობის შესაძლებლობები და ასაღებებელი მკვლევარებისთვის მნიშვნელოვანი სხვა საკითხები.

ფონდის წარმომადგენლობა პეკინის საერთაშორისო სიმპოზიუმზე



სიმპოზიუმში მონაწილეობდა 30-მდე სხვადასხვა ქვეყნის სამეცნიერო ორგანიზაცია. ფონდის გენერალურმა დირექტორმა, მანანა მიქაბერიძემ სიმპოზიუმის მონაწილეებს წარუდგინა ფონდის განახლებული სტრატეგია, გააცნო ფონდის საქმიანობა და გამოთქვა სრული მზადყოფნა საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავებისათვის. ხელი მოეწერა, ერთობლივი პროგრამის ფარგლებში, თანამშრომლობის მემორანდუმს.



კონკურსებისა და პროგრამების შედეგები

გამოვლინდნენ ხუთი კონკურსის გამარჯვებულები

- ფონდისა და ოქსფორდის უნივერსიტეტის „საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების“ ერთობლივი კვლევითი პროგრამის 2017 წლის საგრანტო კონკურსი
- 2017 წლის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსი „სახელმწიფო გრანტი საქართველოში და საზღვარგარეთ არსებული ქართული მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის სამეცნიერო კვლევისათვის“
- 2017 წლის მობილობისა და საერთაშორისო სამეცნიერო დღისძიებების გრანტით დაფინანსების კონკურსი
- 2017 წლის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების საგრანტო კონკურსი
- „სამეცნიერო ფონდის ჯილდო წლის საუკეთესო მეცნიერისა და მეცნიერთა ჯგუფისთვის“ 2017 წლის კონკურსი



ევროპული კვლევების საბჭოს (ERS) საინფორმაციო დღე შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდში



შეხვედრაზე ფონდის წარმომადგენლებმა, როგორც ევროპული კვლევების საბჭოს (ERC) ეროვნულმა საკონტაქტო პირებმა (NCPs) მიმოიხილეს ERC-ის საგრანტო სქემები და მიმდინარე ღია კონკურსები.

ევროპული კვლევების საბჭოს (ERS) კიდევ ერთი საინფორმაციო დღე შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდში



მეცნიერებისა და ინოვაციების 2017 წლის ფესტივალის ფარგლებში, ჩატარდა ევროპული კვლევების საბჭოს (ERC) საინფორმაციო დღე. ღონისძიება მიზნად ისახავდა ERC-ის დაფინანსების შესაძლებლობების შესახებ საქართველოს სამეცნიერო საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას, საქართველოს მეცნიერთათვის კონსულტაციების გაწევასა და ERC-ის კონკურსებში მათი ჩართულობის ხელშეწყობას.

გამომცემლობა ELSEVIER -ის სემინარი შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდში



მეცნიერებისა და ინოვაციების საერთაშორისო ფესტივალის ფარგლებში შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდში ჩატარდა სემინარები საქართველოს მეცნიერთათვის ELSEVIER-ის ბაზებზე მუდმივად დაკავშირებით, კერძოდ, კი SCOPUS-ისა და Scival-ის ბაზების შესაძლებლობებზე. სემინარებს წარუძღვნენ კრიშტოფ ჟიმანსკი (გამომცემლობა Elsevier-ის კვლევების მართვის კონსულტანტი) და ანდრეი ლოკტევი (გამომცემლობა Elsevier-ის მონაცემთა ანალიზის კონსულტანტი).

2017 წლის საქართველოს მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალის გახსნა

რიყის პარკში, გაიხსნა მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალი 2017. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი ერთობლივად და მთელი შემართებით მესამე წელია მონაწილეობს მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალს.



სხვა აქტივობები:
გაიმართა მობილობისა და საერთაშორისო სამეცნიერო დღისძიებების 2017 წლის საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მსურველთათვის ჯგუფური საკონსულტაციო შეხვედრა .



გაიმართა ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2017 წლის კონკურსში მონაწილეობის მსურველთათვის ჯგუფური საკონსულტაციო შეხვედრა.



გაიმართა ფონდის ყოფილი ხელმძღვანელის პროფესორ მარინე ჩიტაშვილის საქმიანობის შემაჯამებელი დღისძიება.



ღონისძიებაზე წარმოდგენილ იქნა მარინე ჩიტაშვილის მიერ ფონდის ხელმძღვანელობის პერიოდში არსებული მიღწევების პრეზენტაცია. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ბატონმა ალექსანდრე ჯეჯელავამ მადლობა გადაუხადა პროფესორ მარინე ჩიტაშვილს ფონდის განვითარების საქმეში შეტანილი უმნიშვნელოვანესი წვლილისთვის, კვალიფიციური კადრების მომზადებისა და ფონდის საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებისთვის.